ჯანმრთელობის ერთიანი ელექტრონული პლატფორმის ეფექტიანობის შეფასება

ხატია გოგალაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2025

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".

ხატია გოგალაძე

ხელმოწერა----------

თარიღი 06.04.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის საგანია ჯანმრთელობის ერთიანი ელექტრონული ჩანაწერების პლატფორმის (EHR) ეფექტიანობის შეფასება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. შედეგებმა გამოავლინა რომ პლატფორმის ამუშავებამ დადებითად იმოქმედა ჯანდაცვის სერვისების ხარისხზე, გამარტივდა პაციენტების მკურნალობა, დიაგნოზის დასმა, პაციენტების სამედიცინო ჩანაწერების მოძიება, თუმცა EHR სისტემის დანერგვა ხარვეზებით მიმდინარეობს. პლატფორმაზე ჯერ კიდევ არაა სრულად ხელმისაწვდომი ის ინფორმაცია რომელიც 2019 წელს ამოქმედებული წარმოების წესის მიხედვითაა დადგენილი. კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ პლატფორმის მუშაობა დღემდე შეფერხებებით მიმდინარეობს. ზოგ შემთხვევაში ექიმების მიერ არ ხდება სამედიცინო მონაცემების პლატფორმაზე ატვირთვა ან ხდება ამ მონაცემების დაგვიანებით განთავსება. პაციენტების ნაწილი არაა ინფორმირებული პლატფორმის არსებობის შესახებ. პაციენტები არ ფლობენ ინფორმაციას არც ელექტრონულ პლატფორმაზე ატვირთული მონაცემების დაფარვის და რედაქტირების უფლების შესახებ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ არსებობს პლატფორმიდან პაციენტების კონფიდენციალური ინფორმაციის უკანონოდ გავრცელების რისკები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ელექტრონული ჩანაწერების სისტემა, პლატფორმა, EHR, ეფექტიანობა.

Abstract

This study aims to assess the effectiveness of a unified electronic health record (EHR) platform. To achieve this goal, qualitative and quantitative research methods were used. A doctor survey revealed that the platform's launch had a positive impact on the quality of healthcare services, simplifying patient treatment, diagnosis, and searching for patients' medical records. According to the results of the study, the implementation of the EHR system was flawed. The information specified in the production rules enacted in 2019 is still not fully available on the platform. The study results showed that the platform is still operating with delays. In some cases, doctors do not upload medical data to the platform or upload this data with a delay. Some patients are not informed about the existence of the platform. Patients are also unaware of the right to hide and edit data uploaded to the electronic platform. The research revealed the risks of illegally disseminating confidential patient information from the platform.

Key search words: electronic health record system, platform, EHR, efficiency.